პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

კომუნისტი ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი
28 მაისი
1940 წ.
№ 121 (5822)
ფასი 10 კაპ.

დღეს გაზეთში:

სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის (მე-1 გვ.).

ამხ. მ. ი. კალინინის შეხვედრა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებთან და თბილისის ინტელიგენციასთან (1-ლი გვ.).

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რაიონული შეკრება ზუგდიდში (1-ლი გვ.).

წინააღმდეგობათა გამოვლენება ხმელთაშუა ზღვის აუზში (მე-2 გვ.).

პრესის მიმოხილვის მაგიერ: ერთი საწარმოს კედლის გაზეთი (მე-3 გვ.).

პარტიული ცხოვრება: კიდევ უფრო გავაძლიეროთ პარტიული კონტროლი სამეურნეო საქმიანობაზე; ერთი მაღაროს პარტორგუფები (მე-3 გვ.).

„სამშობლო“ ახალი ქართული ოპერა (მე-3 გვ.).

უცხოეთში: ომი დასავლეთ ევროპაში: საომარი მოქმედებების დღიური; მდგომარეობა ჩრდილოეთ საფრანგეთში; გერმანიის საარდლობის ცნობა; მოკავშირეთა ცნობები; ამერიკის ცნობები; ინგლისის სამხედრო-საჰაერო ძალების შტაბის წარმომადგენლის განცხადება. (მე-2 გვ.).

ელექტრონული ბიბლიოთეკა

სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის

საგაზაფხულო თესვა დასასრულს უახლოვდება. პარტიისა და მთავრობის ცნობილმა დადგენილებამ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადებისა და შესყიდვის პოლიტიკაში ცვლილებათა შეტანის შესახებ დიდად შეუწყო ხელი თესვის დაჩქარებას და აღაფრთოვანა კოლმეურნეთა ფართო მასები მაღალი და უხვი მოსავლის მიღებისათვის ბრძოლაში. თბილისის, წითელწყაროს, წალენჯიხის, წულუკიძის, ტყიბულის, ქვემო-სვანეთის, ქარელის, სიღნაღის და სხვა რაიონებმა ამ დადგენილების მოხერხებულად მომარჯვებით შესძლეს საგაზაფხულო თესვის გეგმების ვადაზე და გადაჭარბებით შესრულება.

შემოდგომის და მომდინარე წლის ადრე გაზაფხულის ნათესებს საუკეთესო პირი უჭირს. ამჟამად მთელი პარტიული საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოების, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ხელმძღვანელთა ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ყარგად მოაწყონ ნათესების დამუშავება და ყოველმხრივ მოამზადებული შეხვდნენ მოსავლის აღებას.

ხალხთა საყვარელი ბელადი დიდი **სტალინი** 1935 წლის დეკემბერში მოწინავე კომბაინერთა და კომბაინერ ქალთა საკავშირო თათბირზე, მთელი ჩვენი ქვეყნის წინაშე აყენებდა რა ამოცანას ყოველწლიურად 7-8 მილიარდი ფუთი პურის მოყვანის შესახებ, ამბობდა: „თქვენ იცით, რომ ყველაზე პასუხსაგები საქმე მარცვლეულის მეურნეობაში მოსავლის აღებაა. მოსავლის აღება სეზონური საქმეა და მას დაცდა არ უყვარს. დროზე აიღებ—მოიგებ. დააგვიანებ მოსავლის აღებას—წააგებ“. მტკიცედ იბრძოდნენ რა დიდი **სტალინის** ამ უაღრესად სერიოზული დავალების შესრულებისათვის, საქართველოს პარტიულმა და არაპარტიულმა ბოლშევიკებმა 1939 წელს 8.983,2 ათასი ცენტნერი მარცვლეულ და პარკოსან კულტურათა საერთო მოსავალი მიიღეს, 1.847 ათასი ცენტნერით მეტი, ვიდრე წინა წელს. მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო მეტი და სერიოზული მუშაობა გვმართებს იმისათვის, რომ სასახელოდ შევასრულოთ ქართველი ხალხის საამაყო შვილის ამხ. **ლ. ბერიას** მითითება საქართველოს თავისი საკუთარი პურით უზრუნველყოფის შესახებ.

საქ. კ. პ. (ბ) XIII ყრილობაზე ს. კ-ის საანგარიშო მოხსენებაში ამხ. **კ. ნ. ჩარკვიანმა** დაგვისახა ამ საბრძოლო დავალებათა წარმატებით შესრულების კონკრეტული გზები. მარცვლეულ კულტურათა მოცულადმუშავების აგროტექნიკური წესების მტკიცედ დაცვით, მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებით რადაც არ უნდა დაგვიჯდეს წელს უნდა მივაღწიოთ რესპუბლიკაში საშუალოდ ჰექტარზე 12-13 ცენტნერი მარცვლეულის მოსავლის მიღებას. ამის განხორციელება საკმაოდ შესაძლებელია, თუ მთლიანად იქნება გამოყენებული ყველა ადგილობრივი შესაძლებლობანი.

ამჟამად საქართველოს საკოლმეურნეო მინდვრებზე 2359 ტრაქტორი, 443 კომბაინი, 480 სალეწი და ათასობით სხვა რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანები და იარაღები მუშაობენ. მიმდინარე წელს დამატებით იქნება შემოტანილი 100 კომბაინი, 100 ტრაქტორი და 40 სალეწი მანქანა. კომბაინებით აღებულ უნდა იქნას 113,000 ჰექტარი თავთავიანი მარცვლეული კულტურები. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენს კოლმეურნეობებს შექმნილი აქვთ მექანიზაციის მტკიცე ბაზა მოსავლიანობის შემდგომი გადიდების უზრუნველსაყოფად. ახლა მთავარი ის არის, რომ სრულ წესრიგში მოვიყვანოთ ტრაქტორები, კომბაინები, სალეწი მანქანები და შევქმნათ ყველა წინაპირობა მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებისათვის.

მაგრამ ყველა ადგილობრივი პარტიული, საბჭოთა და სამეწარმოქმედო ორგანოები როდი აქცევენ კვეროვან ყურადღებას მოსავლის აღებისათვის მზადებას. სწორეთ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ მიუხედავად დაწესებული ვადების გასვლისა მთელ რიგ მტს-ებს კვერაც არ დაუმთავრებიათ კომბაინების რემონტი და არ მომზადებულან მოსავლის ასაღებად. კერძოთ ბორჩალოს მტს-ს, რომელსაც კომბაინების რემონტი კვერ კიდევ 5 მაისისათვის უნდა დაემთავრებია, ამ ვადიდან 15 დღის გასვლის შემდეგ 21 კომბაინიდან მხოლოდ 11 ჰქონდა შეკეთებული. წითელწყაროს მტს-ში გარდა იმისა, რომ რემონტის გეგმა 25 მაისისათვის მხოლოდ 51,3 პროცენტით იყო შესრულებული, კომბაინების შესაკეთებლად ძველს, უვარგის სათადარიგო ნაწილებს იყენებენ. აქ ნაკლებად ზრუნავენ რემონტისათვის საჭირო სათადარიგო ნაწილებისა და სხვა მასალათა მომარაგებისათვის, არ მოუხდენიათ შეკეთებული კომბაინების ტექნიკური შემოწმება.

ასეთი მდგომარეობის გაგრძელება ყოვლად დაუშვებელია. საჭიროა მიწსახკომმა და რაიონების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, ავრეთვე მტს-ებმა მიიღონ გადამჭრელი ზომები ადგილობრივი რესურსების მაქსიმალურად გამოყენებით კომბაინებისა და მოსავლის ასაღები სხვა მანქანა-იარაღების რემონტის უახლოეს დღეებში დამთავრებისათვის.

პარტიული ორგანიზაციები სათავეში უნდა ჩაუდგნენ სტაროდის ოლქის ბრიგადირ—ასფუთოსანთა გამოცდილების ფართოდ გავრცელებას. მემინდვრეობისა და ტრაქტორო ბრიგადებს შორის მთელი წლის განმავლობაში მტკიცე კონტაქტური ურთიერთობა და შეთანხმებული მუშაობა მთავარი პირობაა იმისა, რომ წესიერად დავამუშაოთ ნათესები, სანიმუშოდ მოვემზადოთ მოსავლის აღებისათვის და აქედანვე გავშალოთ საქმიანი ბრძოლა დანაკარგების წინააღმდეგ. რაიმიწგანებმა, მტს-ებმა და კოლმეურნეობებმა ახლავე უნდა შეიმუშაონ და განახორციელონ მოსავლის უდანაკარგოდ აღების კონკრეტული ღონისძიებანი და ამ საქმეში ჩაბან ყველა ბრიგადა, რგოლი და კოლმეურნე.

პარტრაიკომების მდივნები, რაისაბჭოს აღმასკომების თავმჯდომარეები, პარტიულ, საბჭოთა და საკოლმეურნეო აქტივთან ერთად, პირადად უნდა ამოწმებდნენ მოსავლის აღებისათვის მზადების მიმდინარეობას და ატარებდნენ კონკრეტულ ღონისძიებებს შეშინეულ ნაკლოვანებათა დროულად გამოსწორებისათვის. უნდა მივაღწიოთ იმას, რომ მოსავლის აღების დაწყებამდე ყველა კოლმეურნეობას მომზადებული ჰქონდეს ბელღები, საწყობები, ურმები, ავტომანქანები, ტომრები, სასწორები, ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, შეკეთებული ჰქონდეს სამინდვრე და სასოფლო გზები, გვყავდეს მომზადებული კადრები, ყველა კომბაინერმა იცოდეს თავისი სამუშაო ადგილი, რომ ამით უზრუნველვყოთ კომბაინების, ტრაქტორების და სალეწი მანქანების სრული დატვირთვით გამოყენება.

კიდევ უფრო ფართოდ გავშალოთ მესამე სტალინური ხუთწლედის სახელობის სოციალისტური შეჯიბრება, მაღალხარისხოვნად დავამუშაოთ ნათესები, ბოლშევიკურად ვემზადოთ მოსავლის აღებისათვის, უზრუნველვყოთ საქართველო თავისი საკუთარი პურით — ასეთია ამოცანა.

ჩაის ფოთლის დამზადება

„საქჩაის“ 25 მაისის ცნობებით

რაიონები	წინა დამზადებულია სულ წლის დამზადებაში პროცენტობით	დამზადებულია დაწყებიდან სეზონის ბოლომდე	წლიური გეგმის შესრულების პროცენტი	მაისის გეგმის შესრულების პროცენტი
ბათუმი	1.866	242,2	13,3	56,1
ქობულეთი	8.855	894,4	10,5	44,4
გალი	3.941	476,5	12,1	51,5
ოჩამჩირე	2.420	362,1	15	63
სოხუმი	50	5,1	10,2	51
გუდაუთი	70	13,8	19,7	98,6
მახარაძე	11.174	948,6	8,5	37,3
ჩოხატაური	1.475	184,7	12,5	54,5
ლანჩხუთი	3.660	455,9	12,5	54,1
სამტრედია	330	42	12,7	55,3
წულუკიძე	1.755	318,6	18,2	77,3
ქუთაისი	190	35,2	18,5	80
წყალტუბო	430	68,1	15,8	68,8
ტყიბული	620	103,9	16,8	72,7
ცხაკაია	1.230	95,5	7,8	33,7
ვანი	3.037	462,2	15,2	66,9
ზუგდიდი	5.908	708,9	12	50,7
წალენჯიხა	2.072	280,9	13,5	56,6
ჩხოროწყუ	1.820	248,9	13,7	58,9
ხობი	511	67,6	13,2	57,3
სულ	51.114	6.020,2	11,8	50,6

უშაფათის და მაღლაკის ჩაის ფაბრიკების ცნობები ცხრილში შეტანილია 20 მაისის მდგომარეობით.

მაისის პირველ ხუთდღიურში საქართველოში დამზადდა სულ 76,1 ტონა ჩაის მწვანე ფოთოლი, მეორე ხუთდღიურში—466,2. მესამეში—1.177,7, მეოთხე—1.858,3, მეხუთე ხუთდღიურში კი—2.441,9 ტონა. შარშან 25 მაისისათვის ჩაის მწვანე ფოთლის დამზადების წლიური გეგმა შესრულებული იყო 17,7 პროცენტით. მაისის გეგმა კი—79,6 პროცენტით.

ამხ. მ. ი. კალინინის შეხვედრა სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშებთან და თბილისის ინტელიგენციასთან

გუშინ, 27 მაისს, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ამხანაგი **მიხეილ ივანეს-ძე კალინინი** ესტუმრა თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხანას, სადაც ის ამ 40 წლის წინათ მუშაობდა. პირველად იგი 1900 წლის მაისში ჩამოვიდა თბილისში და მუშაობა დაიწყო მაშინდელი რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში ხარატად. ის მაშინვე ჩაება მუშათა რევოლუციურ მოძრაობაში და აქტიურად ეხმარებოდა ამხანაგ **სტალინს** რევოლუციური მარქსიზმის პროპაგანდაში. ამხანაგ **სტალინის** ხელმძღვანელობით და **მ. ი. კალინინის** აქტიური მონაწილეობით 1900 წლის აგვისტოში მოეწყო რკინიგზის მთავარი სახელოსნოებისა და დეპოს მუშების გრანდიოზული გაფიცვა, რომელშიც 4000-მდე მუშა მონაწილეობდა.

შორეული წარსულის ეს გმირული ამბები კვლავ ცოცხლდებიან დღეს ყოფილი მთავარი სახელოსნოების საფუძველზე აღმოცენებულ ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის ძველ მუშათა ცნობიერებაში.

ქარხნის მუშები ყოველთვის ძვირფასად და მაღალი სიამაყის გრძნობით ატარებენ გულში თავისი სახელოვანი თანამედროვის საამაყო სახელს. ის დაზგა, რომელზედაც ამ 40 წლის წინათ ხარატი **მ. ი. კალინინი** მუშაობდა, ქარხნის მთელი კოლექტივის საყვარელ, სანუკვარ საგანს წარმოადგენს. მასზე ახლა იზრდებიან სოციალისტური შრომის ნოვატორები — სტახანოველები.

მ. ი. კალინინი ამავე საამქროს საპატიო გამგედ არის არჩეული.

აღმფრთოვანებელ და საზეიმო დღედ გადაიქცა ქარხნის მუშებისათვის 27 მაისი—მ. ი. კალინინის ჩამოსვლის დღე. აქ მოვიდნენ დეპოს მუშებიც, თბილისის სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშათა წარმომადგენლებიც, რათა მათაც გაეზიარებინათ უსაზღვრო სიხარული.

მუშებს სურთ თავის ძვირფას, ძველ თანამედროვეს გულწრფელი მუშური შეხვედრა მოუწყონ. დაშლილ ორთქლმავალთა ფონზე ამწყობ საამქროში აღლვარდა წითელი ტრანსპარანტები, საამქრო მოირთო ალისფერი დროშებით, ბელადის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტებით.

დილის 11 საათიდან იწყო ხალხმა საამქროში თავმოყრა და მისი ვეებერთელა კორპუსი ზღვა ხალხით აივსო. გარეთ, ქარხნის შესასვლელთან ამ დროს უამრავ ხალხს მოეყარა თავი და მოუთმენლად ელოდა ძვირფასი სტუმრის გამოჩენას.

ეს იყო **ლენინ-სტალინის** პარტიასადმი, მისი სახელოვანი შვილებისადმი, თავისი ბელადებისადმი ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა და პატივისცემის დემონსტრაცია.

მ. ი. კალინინი ქარხანას ესტუმრა საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მდივნის ამხ. **კ. ჩარკვიანის,** საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. **ვ. ბაქრაძის,** საქართველოს სსრ შინახკომის ამხ. **ა. რაფავას,** საქ. კ. პ. (ბ) თბილისის კომიტეტის მდივნების ამხ. **ს. იშხანოვის, ე. ჩერქეზიას, ა. კვაჭაძისა** და სხვა პასუხისმგებელი ამხანაგების თანხლებით.

ტაშის გრიალში გაისმის მისასალმებელი შეძახილები **ლენინ-სტალინის** პარტიის სახელოვანი შვილის **მ. ი. კალინინის,** დიდი ბელადის ამხანაგ **სტალინის** პატივსაცემად.

დიდხანს არ ცხრება ტაშის გრიალი და საზეიმო მისასალმებელი შეძახილები:

— გაუმარჯოს ჩვენს მამასა და მასწავლებელს, სოციალისტურ გამარჯვებათა ორგანიზატორს, ჩვენს საყვარელ ბრძენ ბელადს დიდ სტალინს!

— გაუმარჯოს დიდი სტალინის ერთგულ თანამებრძოლს, ლენინ-სტალინის დიადი პარტიის სახელოვან შვილს მ. ი. კალინინს!

— გაუმარჯოს ქართველი ხალხის საამაყო შვილს, მტკიცე სტალინელს, ამხანაგ ლავრენტი ბერიას!

და ამ შეძახილებს მძლავრი „ურა“ და „ვაშა“ ჰფარავს.

ქარხნის უფროსი, ორგზის ორდენოსანი ამხ. **დ. ჰუჰინაძე** სახელდახელო მიტინგს გახსნილად აცხადებს და ქარხნის 4-ათასიანი კოლექტივის სახელით გულთბილ სალამს გადასცემს მას, ვინც დიდ **სტალინთან** ერთად მუშათა რევოლუციური მოძრაობის გარიჟრაჟზე ამ ქარხანაში რაზმავდა მუშებს **ლენინის** დროშის ქვეშ ცარიზმისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

კვლავ ჰქუხს ტაში და გაისმის მისასალმებელი შეძახილები.

ამხ. ჰუჰინაძე მისალმებისათვის სიტყვას აძლევს ქარხნის უძველეს მუშას, სახარატო საამქროს ბრიგადირს ამხ. **გაგლოევს,** რომელიც ამხ. კალინინთან ერთად მუშაობდა სახარატო საამქროში და რომელსაც თვისაც დღევანდელი მომენტი ყველაზე უფრო ამაღელვებელია.

ამხ. გაგლოევს ცხობილი სტახანოველი, ორდენოსანი ამხ. **ზ. ნადირაძე** სცვლის, რომელიც ამხ. კალინინს მოუთხრობს თავის საწარმოო წარმატებებზე.

მისასალმებელი სიტყვებით გამოდიან სახარატო საამქროს ინჟინერი ქალი ამხ. **ბატონისაშვილი,** სტახანოველი ზეინკალი ამხ. **გვალაღანია** (ქარხნის ახალგაზრდობის სახელით) და სტახანოველი მექვაბე ამხ. **სელიხოვი.**

სიტყვა ეძლევა **მ. ი. კალინინს.** მიხეილ ივანეს-ძის გამოჩენას ტრიბუნაზე ხუთიათასიანი მიტინგი მქუხარე ოვაციებით ხვდება.

— ამხანაგებო, — იწყებს თავის სიტყვას მიხეილ ივანეს-ძე,—მე უაღრესად კმაყოფილი ვარ თქვენი ნახვით, ამიტომ პირველი, რაც მე შემიძლია გითხრათ, ეს არის „გამარჯობათ“ (ამხანაგი კალინინი ამ სიტყვას ქართულად წარმოსთქვამს).

შემდეგ ამხ. კალინინი იგონებს თბილისში თავისი პირველი ჩამოსვლისა და რევოლუციური მოღვაწეობის ზოგიერთ ეპიზოდს და აღნიშნავს რევოლუციურ ბრძოლებში თბილისის რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშების განსაკუთრებულ დამსახურებას, რომ მათ რევოლუციური ბრძოლის შესანიშნავი ისტორია აქვთ, რაც მათ ანსხვავებს სხვა ცალკეულ ფაბრიკა-ქარხნებისაგან.

— მთელი რიგი წლების განმავლობაში,—განაგრძობს ამხ. კალინინი,—რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშებს ზრდიდა, პოლიტიკურად აწრთობდა ამხანაგი **სტალინი.** მას შესწევდა უნარი ყველაზე ძნელ პირობებში დაეראზმა და წარემართა პოლიტიკურად შეგნებული, გარკვეული მიმართულებით ათასობით მებრძოლი ადამიანები. ამიტომ ატარებს თქვენი ქარხანა **სტალინის** სახელს. თქვენ ნამდვილი სტალინელები ხართ, სტალინელები მთელი შეგნებით, მაშასადამე, თქვენი მოქმედება, თქვენი აზრები და მუშაობა უნდა იყოს სტალინისებური, ხოლო ეს კი ნიშნავს იმას, რომ შეგეძლოთ თქვენს ხელთ არსებული ძალებითა და საშუალებებით გაეკეთო მაქსიმუმი. დავუშვათ, მაგალითად, რომ თქვენ ყოველთვიურად არემონტებთ 25 ან 30 ორთქლმავალს, და აი, თუ სტალინურად ვიმუშაკელებთ, თქვენ უნდა არემონტებდეთ იმდენს, რამდენსაც ვერცერთი ქარხანა ვერ მოახერხებდა, თქვენ უნდა უმტკიცებდეთ ინჟინრებს, რომ მათ მეცნიერულ ვარაუდებს თქვენ გადააჭარბებთ, რადგანაც თქვენ სტალინელები ხართ.

ამხ. **კალინინი** შემდეგ ეხება საერთაშორისო ვითარების საკითხებს და განსაკუთრებით ამახვილებს ყურადღებას ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის განმტკიცების აუცილებლობაზე, ტექნიკის ათვისება-დაუფლებაზე.

მეორე მთავარი ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ აღმოვფხვრათ ყველა ის ნაკლოვანებები, რომლებიც ჩვენს მუშაობაში გვაქვს. ჩვენ მოვიპოვეთ საბჭოთა ხელისუფლება, ჩვენ მას ვანმტკიცებთ და ვაშენებთ კომუნიზმს.

ამხანაგი კალინინი გამოსთქვამს რწმენას, რომ ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის მუშები, სტალინურ ტრადიციებზე აღზრდილნი, რომლებსაც წარსულში საპატიო რევოლუციურ ბრძოლებში, ახლაც არ დაიხევენ უკან სადღეისო ამოცანების გადაწყვეტაში.

— ნება მიბოძეთ, ამხანაგებო,— ამთავრებს თავის სიტყვას ამხანაგი კალინინი, — გისურვოთ წარმატებები მუშაობაში, უფრო მეტი და ბრწყინვალე წარმატებები.

გაუმარჯოს ამხანაგ **სტალინს,** რომელშიაც განსახიერებულია მუშათა კლასის საუკეთესო იდეები!

მიტინგი ამხ. **კალინინს** მქუხარე ოვაციებით აცილებს. გაისმის შეძახილები ქართულსა და რუსულ ენებზე.

○

მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის შესანიშნავი შენობის ძვირფასად ნაგებ დარბაზებში 27 მაისს საზეიმო განწყობილება იყო. აქ თავი მოეყარათ თბილისის საბჭოთა ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლებს — აკადემიკოსებს და მასწავლებლებს, ინჟინრებს და ექიმებს, მომღერლებს და მხატვრებს, არქიტექტორებს და მსახიობებს, პროფესორებს და მოქანდაკეებს, მწერლებსა და პოეტებს, კრიტიკოსებს, დრამატურგებს და პრესის მუშაკებს, მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების, ლიტერატურის და შემოქმედებითი გონებრივი შრომის ყველა დარგის მოწინავე წარმომადგენლებს.

მათ შორის იყვნენ: აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი, ორდენოსანი დრამატურგი შ. დადიანი, პოეტები და მწერლები — ირ. აბაშიძე, გ. ლეონიძე, ა. მოსაშვილი, დ. შენგელაია, ს. ეულე, კ. ლორთქიფანიძე, პ. კაკაბაძე, პროფესორები — გ. ახვლედიანი, ა. ჯახელიძე, ა. თვალჭრელიძე, გ. მუხაძე, გ. ღამბარაშვილი, კ. ზავრიევი, დ. უზნაძე, სსრ კავშირის სახალხო არტისტები — ა. ვასაძე და ა. ხორავა, კომპოზიტორები — დ. არაყიშვილი, ი. ტუსკია, გ. კილაძე, რეჟისორი ნ. შენგელაია, მსახიობები — ნ. ვაჩნაძე, კ. მიუჯკე, ვ. ანჯაფარიძე, მომღერლები— ე. სოხაძე, ცომაია, ნ. ხარაძე, დ. ანდღულაძე, პ. ამირანაშვილი, დ. გამრეკელი, არქიტექტორი ა. ქურდიანი, მხატვრები — მ. თოიძე, ლ. გუდიაშვილი, ქ. გიორგაძე და მრავალი სხვანი.

ინსტიტუტის სხდომათა დარბაზი აივსო თბილისის ინტელიგენციის ამ საუკეთესო წარმომადგენლებით. მოელოდნენ ძვირფას სტუმარს — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს დიდ **ლენინისა** და **სტალინის** უახლოეს თანამებრძოლს **მიხეილ ივანეს-ძე კალინინს.**

ნაშუადღევის 3 საათი შესრულდა. დარბაზში გამოჩნდა ამხანაგი **მ. ი. კალინინი,** მასთან ერთად დარბაზში შემოვიდნენ ამხანაგები: **კ. ჩარკვიანი, ვ. ბაქრაძე, კ. შეროზია, მ. ჯაში, ი. თავაძე, ა. თოფურიძე, ა. რაფავა, ს. იშხანოვი, ხ. ხოშტარია** და სხვ.

დიდხანს გაისმოდა ტაში და მისალმებათა შეძახილები დიდი **სტალინის** თანამებრძოლის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ **მ. ი. კალინინის** პატივსაცემად.

თბილისის საბჭოთა ინტელიგენციის საერთო-საქალაქო კრება გახსნა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. **ი. თავაძემ.**

მოკლე შესავალ სიტყვაში ამხ. **ი. თავაძემ** აღნიშნა ის საყოველთაო სიხარული და აღფრთოვანება, რომლითაც თბილისის მშრომელები შეხვდნენ საქართველოს დედაქალაქში ამხანაგ **კალინინის** ჩამოსვლას. ის შეეხო ამხ. კალინინის პირველ ჩამოსვლას თბილისში ამ 40 წლის წინათ და აღნიშნა, რომ მიხეილ ივანეს-ძემ დიდი კვალი დაჰრჩა ამიერკავკასიის და საქართველოს მუშათა მოძრაობის ისტორიას თავისი რევოლუციური მოღვაწეობით.

მისასალმებისათვის სიტყვა ეძლევა პროფ. **ს. ჯანაშიას.**

თავის შინაარსიან სიტყვაში პროფ. ჯანაშიამ აღნიშნა საქართველოს მშრომელი ინტელიგენციის ის საერთო სიხარული და კმაყოფილება, რომელიც გამოიწვია ამხანაგ კალინინის ჩამოსვლამ თბილისში. ივი ამხანაგ კალინინს მიესალმა საქართველოს მეცნიერ მუშაკთა სახელით.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. **ბ. ჟღენტმა.** ივი ამხანაგ კალინინს მიესალმა საქართველოს საბჭოთა მწერლების სახელით და აღნიშნა, რომ საქართველოში მწერლებისა **და** პოეტების შემოქმედებითი მუშაობისათვის ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით შექმნილია ისეთი პირობები, რაზედაც ძველად ოცნებაც არ შეეძლოთ ქართული კლასიკური ლიტერატურის სახელოვან წარმომადგენლებს. — ჩვენი მკითხველები, — **სთქვა ორატორმა,** — ახლა მარტო საქართველოთი როდი შემოიფარგლება. ჩვენი აუდიტორიაა მთელი 183 მილიონიანი საბჭოთა ხალხი.

მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა ორდენოსანმა **ლ. გვარამაძემ.** ივი შეეხო რა დიდ მიღწევებს მეცნიერებისა და ხელოვნების დარგში, აღნიშნა რომ ყველა ეს მიღწევები მოპოვებულია საბჭოთა მთავრობის, ბოლშევიკური პარტიის, დიდი **სტალინის** ხელმძღვანელობით.

— იდღეგრძელეთ დიდხანს და ერთხა გთხოვთ — ხშირად ჩამოდით ჩვენთან, ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, მზიურ საქართველოში, როგორც თქვენ საკუთარ, მშობლიურ მხარეში.

შემდეგ სიტყვით გამოსულმა პროფ. **ა. ალადაშვილმა** ამხანაგ კალინინისადმი მიმართულ მისასალმებელ სიტყვაში გაიხსენა ქართველი ინტელიგენციის დუხჭირი მდგომარეობა ძველად და შეადარა იგი საქართველოს მშრომელი ინტელიგენციის ახლანდელ მდგომარეობას.

— ძვირფასო მიხეილ ივანეს-ძევ, — სთქვა თავისი სიტყვის დასასრულს ორატორმა, — სიყვარულით სავსე გრძნობით მოგესალმებით და გთხოვთ გადასცეთ ჩვენს დიდ ბელადს ამხანაგ **სტალინს,** რომ საქართველოს მშრომელი ინტელიგენცია, მტკიცედ დარაზმული ლენინ-სტალინის სახელოვანი დროშის ქვეშ, მზად არის, როგორც ერთი კაცი გამოვიდეს ჩვენი სამშობლოს დასაცავად, კომუნიზმის საბოლოო გამარჯვებისათვის საბრძოლველად.

სიტყვა ეძლევა მიხეილ ივანეს-ძე **კალინინს,** რომელსაც დამწყრანი მქუხარე ოვაციებით ხვდებიან.

— ამხანაგებო, მოგესალმებით თქვენ, — ამბობს მიხეილ ივანეს-ძე, — როგორც ერთერთ რაზმს დიადი საბჭოთა კავშირის ინტელიგენციისას...

— ინტელექტუალური შრომის წინაშე, ჩვენი ინტელიგენციის წინაშე, — გახსნილია თავისუფალი შემოქმედების ისეთი ფართო გზა, როგორიც არასოდეს არ ყოფილა. მე ვფიქრობ, ეს არის საბჭოთა ხელისუფლების ერთერთი თავისებურებათაგანი. უწინ ქართველი მწერალი ჰქმნიდა თავის ნაწარმოებებს ქართულ ენაზე, ქართველი ხალხისათვის, ხოლო ახლა ჰქმნის არა მარტო ქართველი ხალხისათვის, არამედ მთელი ასოთხმოცდასამ მილიონიანი ხალხისათვის...

ვრცლად აღნიშნა რა საქართველოს საბჭოთა ინტელიგენციის დიდი შემოქმედებითი შესაძლებლობანი, ამხანაგი კალინინი შეეხო ჩვენი, საბჭოთა ინტელიგენციის ცხოვრებისა და მუშაობის მრავალ საინტერესო და აქტუალურ საკითხს.

საბჭოთა ინტელიგენციის ერთერთ სერიოზულ ამოცანად ამხანაგმა **კალინინმა** დასახა საბჭოთა ქვეყნის თავდაცვაუნარიანობის გაძლიერებისათვის მუშაობა.

— თბილისის ინტელიგენცია მუდამ გამოირჩეოდა, შესანიშნავად იბრძოდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, ხალხის საქმისათვის. გაბედულად შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ათეულობით და ასეულობით ადამიანები, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს რევოლუციას. მე უკვე აღარას ვამბობ იმაზე, რომ ქართველმა ხალხმა მოგვცა უდიდესი მსოფლიო ბელადი — ამხანაგი **სტალინი** (მქუხარე ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).

— ახლა კი, ამხანაგებო, ნება მომეცით გამოვთქვა სურვილი, რათა საქართველოს ინტელიგენციამ მთელი თავისი ძალების დაძაბვით შესძლოს მოგვცეს ყველაფერი, რისი მოცემაც მას შეუძლია კომუნიზმის მშენებლობისათვის ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

ტაშის გრიალმა დარბაზში დაჰფარა ამხანაგ **კალინინის** ბოლო სიტყვები. დიდხანს გაისმოდა შეძახილები: **„დღეგრძელობა და სიცოცხლე ამხანაგ კალინინს“, „გაუმარჯოს მიხეილ ივანეს-ძეს“, „გაუმარჯოს მსოფლიოს მშრომელთა ბელადს დიდ სტალინს“.**

სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეთა რაიონული შეკრება ზუგდიდში

ზუგდიდი, 27 მაისი (ტელეგრაფით „კომუნისტის“ კორ.). 26 მაისს ზუგდიდში ჩატარდა ზუგდიდის რაიონის იმ კოლმეურნეთა სარაიონო შეკრება, რომლებიც დამტკიცებული არიან 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენის მონაწილეებად. შეკრებას დაესწრო გამოფენის 700 მონაწილე. მოსმენილ იქნა ზუგდიდის რაიმიწგანის გამგის ამხ. ფანთიას მოხსენება 1940 წლის სრულიად-საკავშირო სასოფლო-სამეურნეო გამოფენისათვის მზადების შედეგებისა და სტახანოველთა ამოცანების შესახებ.

შეკრებაზე სიტყვით გამოსულმა სტახანოველებმა, უზიარებდნენ რა ერთმანეთს თავიანთ გამოცდილებას, იღებდნენ ახალ ვალდებულებებს. ზედა-ეწერის ცხაკაიას სახელობის კოლმეურნეობის სტახანოველმა გ. ჩაგუნავამ, რომელმაც მიმდინარე წლის 15 მაისამდე 310 შრომადღე გამოიმუშავა და 11 დღის განმავლობაში 900 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი მოჰკრიფა, აიღო ვალდებულება წელს გამოიმუშაოს 1.000 შრომადღე და მასზე მიმაგრებულ 1 ჰექტარ ჩაის პლანტაციიდან მიიღოს 7.000 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი.

სოფ. ორსანტიის გეგეჭკორის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის ორდენოსანმა მებოლრემ კ. ხასიამ აიღო ვალდებულება თვითეულ დეკადორზე წელს მიიღოს და შეინარჩუნოს 20 გოჯი. სოფელ რუხის მილიონერი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ო. ფარცვანიამ აიღო ვალდებულება სახელმწიფოს ჩააბაროს 305.000 კილოგრამი მწვანე ჩაის ფოთოლი.

სტახანოველთა შეკრებამ მიიღო მიმართ

ᲛᲐᲜ ᲔᲠᲗᲘᲐᲜᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲛᲝᲡᲐᲮᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ

ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲘᲚᲕᲐ

26 მაისი

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

პარტიული ცხოვრება

ერთი მაღაროს პარჯგუფები

(მიათურა, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ბერიას სახელობის მაღაროს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის 43 წევრი და წევრობის 18 კანდიდატი ითვლება. მიწის ქვეშ მომუშავე კომუნისტებისაგან უბნების მიხედვით შექმნილია 5 პარტჯგუფი და 4 პარტსაკანდიდატო ჯგუფი.

საანგარიშო – საარჩევნო კრების შემდეგ ბერიას სახელობის მაღაროში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პარტმასობრივი მუშაობა. ქარხნის პარტჯგუფში (პარტჯგუფორგი ი. თაღუმაძე) 5 პარტწევრია გაერთიანებული. პარტჯგუფი ყოველმხრივ უხმარება აგიტატორს ს. ხელაძეს და ამიტომაა, რომ ქარხანაში კარგად არის დაყენებული საagიტაციო მუშაობა.

ქარხნის მუშები ი. მიხელიძე, ს. ხელიძე, ა. გველესიანი და სხვები წარმატებით სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას. ამაში მათ კარგად ეხმარება პარტჯგუფი.

პარტჯგუფი იბრძვის მრავალდაზგონსური მუშაობის ქარხანაში ფართოდ დანერგვისათვის. პარტიული ჯგუფის ხელის შეწყობით მ. ხვიდელიძემ ორ დაზგაზე დაიწყო მუშაობა. ხვიდელიძე მოწინავე მუშაა, იგი ახლახან მიიღეს საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად.

მაღაროს მეოთხე უბანი მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დიდად ჩამორჩა, გეგმა მხოლოდ 44 პროცენტით შესრულა. 27 მარტს ამ უბანში შეიქმნა პარტჯგუფი. პარტჯგუფორგანიზატორად არჩეულ იქნა მოწინავე სტახანოველი რ. სოფრომაძე. უბნის ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის პარტჯგუფმა მაღაროს სამეურნეო ხელმძღვანელობის წინაშე მკვეთრად დააყენა საკითხი. პარტჯგუფის ინიციატივით უბანში დამატებით დაიდგა 2 ჯალამბარი, ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება. ყოველივე ამის შედეგად უბანი გარღვევიდან გამოვიდა და ახლა ყოველდღიური გეგმა 103-104 პროცენტით სრულდება. სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაბმული სტახანოველები გ. ჭუმბურიძე, გ. გოგოლაძე, რ. სოფრომაძე და სხვები ყოველდღიურ გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებენ.

მაღაროს მეხუთე უბანში, სადაც პარტჯგუფს სტახანოველი მებაგე კონსტანტინე გაგნიძე ხელმძღვანელობს, ამაღლდა კომუნისტების ავანგარდული როლი. პარტიის წევრი მ. ცუნიშვილი გეგმას 170 პროცენტით ასრულებს,—ჯ. გაგნიძე 155 პროცენტით, — გ. მეცხოვრიშვილი 200 პროცენტით.

უბანში გაიზარდა სტახანოველთა რიცხვი. წამყვანი პროფესიის მუშები ვ. ქველაძე და პ. ჯალაბელიძე დამკვრელები იყვნენ, ახლა კი მოწინავე სტახანოველთა რიგებში არიან. მეხუთე უბანმა ჩამორჩენას უკვე დაალწია თავი და გეგმას გადაჭარბებით ასრულებს.

პარტიაში მოწინავე მუშების მიღებისათვის ფართო მუშაობა ჩაატარა მაღაროს ტრანსპორტთან არსებულმა პარტჯგუფმა (ორგანიზატორი ი. გოცაძე). უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში მაღაროს ტრანსპორტიდან საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატად მიღებულ იქნენ ზეინკალი მ. ქარქაშაძე, სტახანოველი ზეინკალი მ. ცერცვაძე, ელმავლის მემანქანეები სტახანოველები: შ. გაგნიძე და ს. შეყლაშვილი.

ბერიას სახელობის მაღაროს მუშაობაში ჯერ კიდევ არის სუსტი ადგილები. მაღაროს მესამე უბანში (გამგე ბ. სამხარაძე) ცუდია აფეთქების ხარისხი, სრული დატვირთვით არ მუშაობს მექანიზმებიჯალამბარები, ელექტრობურღები და ელმავალი. ელმავალს, რომელსაც ცვლაში შეუძლია მაღაროდან გამოზიდოს 500-600 ტონა მარგანეცი, ფაქტიურად გამოაქვს 120-130 ტონა. ამას გარდა 24 ამწეზე დის ნაცვლად აქ 14 ამწეზედი მუშაობს, რის გამო უბანი გეგმას 77 პროცენტზე ზევით ვერ ასრულებს.

მიმდინარე წლის 4 თვის განმავლობაში ბერიას სახელობის მაღაროში გეგმა მხოლოდ 83,9 პროცენტით შესრულა. მაისში თუმცა გარდატეხა მოხდა, მაგრამ არა საკმარისი.

ბერიას სახელობის მაღაროს პარტიულმა ორგანიზაციამ (პარტბიუროს მდივანი პ. კვიტინაძე) ისე უნდა წარმართოს თავისი მუშაობა, რომ უახლოეს ხანში უზრუნველჰყოს მაღაროს ჩამორჩენის ლიკვიდაცია.

ლ. ლოლაძე

მახარაძის რაიონის პარჯაქტივის კრება

(მახარაძე, „კომუნისტის“ კორესპონდენტისაგან)

ამ დღეებში ჩატარდა მახარაძის რაიონის პარტიული აქტივის კრება, რომელსაც ესწრებოდა პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები, სოფლის საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტებისა და კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები, ჩაის საბჭოთა მეურნეობების და ფაბრიკების დირექტორები და უბნის აგრონომები.

კრებაზე სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილების — „საქართველოს სს რესპუბლიკაში ჩაის მეურნეობის, ციტრუსოვანი კულტურების, მევენახეობისა და ხარისხოვანი მელვინეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ მოხსენებით გამოვიდა საკ. კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის მდივანი ამხ. ბ. ყურაშვილი.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 11 ამხანაგმა.

აქტივის კრებამ დასახა ღონისძიებანი საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ისა და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დადგენილების განხორციელებისათვის.

ვ. ჯაველი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენზრალურ კომიტეტში

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიუროს 1940 წლის 21 აპრილის გადაწყვეტილებით საკ. კ. პ. (ბ) რიგებიდან გარიცხული არიან:

1) როსტომ პარმენის-ძე **ლომსიანიძე** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2155865—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა თავისი წარსული. 2) იულონ მელიტონის-ძე **მაღლაკელიძე**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1938 წლიდან, პარტბილეთი № 2849338—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა, რომ წარსულში ვაჭრობდა. 3) გიორგი ალექსის-ძე **კაცელაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2166383—საკანდიდატო ბარათის დაკარგვისათვის და იმიტომ, რომ სახელმწიფოს არ ჩააბარა სამინდე გადასახადიდან შემოსული 1023 კილოგრამი ფქვილი. 4) დავით ხეტისის-ძე **ჭიტეხაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3069539—აგრონწესების უხეშად დამახინჯებისათვის. 5) ვასილ ნიკოლოზის-ძე **ნიკვაშვილი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1938 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1263284—დებოშისათვის, 6) ნიკოლოზ დათას-ძე **პარკაია**—საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 3069782—იმისათვის, რომ სიმთვრალის დროს დაკარგავს საკანდიდატო ბარათი. 7) პროკოფი ბესარიონის-ძე **ძნელაძე**—საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1932 წლიდან, პარტბილეთი № 1520919—იმისათვის, რომ პარტიას დაუმალა თავისი სოციალური წარმოშობა და კონტრრევოლუციურ-ტროცკისტული მუშაობისათვის თავისი ძმების დაპატიმრება. 8) შალვა ვასილის-ძე **ურჯოლიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 2159568—1921 წელს მენშევიკურ გვარდიაში თავისი ყოფნის დაფარვისათვის. 9) ნოე ნიკოლოზის-ძე **ურჯოლიანი** — საკ. კ. პ. (ბ) წევრი 1926 წლიდან, პარტბილეთი № 1546327—მენშევიკურ გვარდიაში თავისი ყოფნის დაფარვისა და სისტემატური ლოთობისათვის. 10) ილარიონ ვასილის-ძე **ჯღარკავა** — საკ. კ. პ. (ბ) წევრობის კანდიდატი 1939 წლიდან, საკანდიდატო ბარათი № 1676798—პარტიაში შესვლისას იმის დაფარვისათვის, რომ ის ეკუთვნოდა მენშევიკურ პარტიას.

კიდევ უფრო გავაძლიეროთ პარჯიული კონჯროლი სამეურნეო საქმიანობაზე

ხელმძღვანელი პარტორგანოების არჩევნებამდე სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის პარტიული ორგანიზაცია საკ. კ. პ. (ბ) XVIII ყრილობის მიერ მინიჭებულ უფლებას — წარმოების მიმართ პარტიული კონტროლის გაწევის შესახებ—სუსტად იყენებდა. პარტიული ორგანიზაცია ჩამორჩენილი იყო სამეურნეო საქმიანობას, რის გამო ქარხანას საწარმოო-საფინანსო გეგმების შესრულების საქმეში ჩამორჩენა ჰქონდა. ამ ნაკლის შესახებ კომუნისტები სავსებით სამართლიანად ლაპარაკობდნენ საანგარიშო-საარჩევნო კრებაზე.

საანგარიშო – საარჩევნო კრების შემდეგ ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის სათავეში ქარხნის საამქროებიდან დაწინაურდნენ ამხანაგები, რომლებიც კარგად იცნობენ ამ წარმოებას.

ამჟამად სამტრესტის ღვინის მეორე ქარხნის პარტიული ორგანიზაცია (პარტბიუროს მდივანი ამხ. ივ. ჯაფარიძე) ყურადღებით ეპყრობა რიგითი კომუნისტებისა და აგრეთვე მუშებისა და მოსამსახურეების სიგნალებს, მან სწორად შეათავსა პარტიულ-პოლიტიკური მუშაობა სამეურნეო საქმიანობასთან. გააძლიერა პარტიული კონტროლი წარმოების მიმართ, ქარხანამ პარტიული ორგანიზაციის დახმარებით მიაღწია საწარმოო-საფინანსო გეგმების გადაჭარბებით შესრულებას.

პარტიულმა ორგანიზაციამ ახლახან მოისმინა ქარხნის დირექტორის მოხსენება კვარტალური გეგმის შესრულების შესახებ. გამოირკვა, რომ ქარხანას მიმდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა შესრულებული ჰქონდა 111,2 პროცენტით. გეგმის გადაჭარბებით შესრულებისათვის ბრძოლაში თავი ისახელეს წარმოებაში უშუალოდ მომუშავე კომუნისტებმა: ა. ჭელიძემ, ხ. კირაკოსიანმა, ლ. ქველიძემ, ვლ. მუსელიანმა და სხვ.

აღნიშნა რა მუშაობაში მოპოვებული წარმატებები პარტიულმა ორგანიზაციამ ადმინისტრაციას დაუსახა კონკრეტული ღონისძიებები ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად. აქედან ნათლად სჩანს ის გარემოება, თუ როგორ ანხორციელებს პარტიული ორგანიზაცია კონტროლის უფლებას ადმინისტრაციის მიმართ.

უნდა ითქვას, რომ პარტიული ორგანიზაცია მარტო ქარხნის დირექტორის მოხსენებას როდი იხილავს. იგი აგრეთვე სისტემატურად ისმენს ქარხნის ცალკეული საამქროების უფროსების მოხსენებებს საამქროთა მუშაობის შესახებ.

შუშხუნა ღვინის ჩამოსხმის საამქროში ყველაფერი რიგზე არ იყო. ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევას. საამქროში დადგმული იყო ძველი სისტემის ფილტრი, რომელიც ნაკლებ პროდუქციას იძლეოდა. საამქროში თავისუფლად შედიოდნენ ის პირები, რომლებიც იქ არ მუშაობდნენ და სხვ. ყოველივე ამით დაინტერესებულმა პარტბიურომ 11 აპრილის სხდომაზე მოისმინა აღნიშნული საამქროს უფროსის ამხ. რუსაძის მოხსენება. ბიურომ დასახა სათანადო ღონისძიებები ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისა და საამქროს მუშაობის შემდგომი გაჯანსაღებისათვის.

მაგრამ პარტიული ორგანიზაცია მარტო ღონისძიებების მიღებით როდი დაკმაყოფილდა. პარტბიუროს მდივანმა ამხ. ჯაფარიძემ თვითონ შეამოწმა ამ ღონისძიებათა შესრულება. გამოირკვა, რომ შუშხუნა ღვინის ჩამოსხმის საამქრომ ზემოთჩამოთვლილი ნაკლოვანებები პარტიული ორგანიზაციის დახმარებით გამოასწორა.

აღსანიშნავია ისიც, რომ მიმდინარე წლის მარტში პარტიული ორგანიზაციის კრებაზე მოისმინეს ღვინის ჩამოსხმის საამქროს უფროსის ამხ. ე. შენგელიას მოხსენება პირველ კვარტალში საამქროს მუშაობის შესახებ. გამოირკვა, რომ აქაც საამქროში ადგილი ჰქონდა შრომის დისციპლინის დარღვევას, დანაკარგების შემთხვევას (ბურჟლების მტვრევა), სისუფთავეც არ იყო სათანადოდ დაყენებული.

პარტიული ორგანიზაციის კრებამ გამოიტანა კონკრეტული ღონისძიებები აღნიშნული საამქროს მუშაობაში ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად, მაგრამ პარტბიურომ ამ ღონისძიებათა შესრულების შემოწმება რატომღაც დაივიწყა.

გამოტანილი ღონისძიებები, რაოდენ ჩინებულიც არ უნდა იყოს, — ეს მხოლოდ საქმის დასაწყისია. მთავარია—ბოლომდე შევასრულოთ მიღებული სწორი გადაწყვეტილება. ამისათვის აუცილებელია შესრულების სისტემატური შემოწმება, რომელიც ხელს შეგვიწყობს პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობაში.

ბგრ. ოდიშელი

ლექციორიუმი დიასახლისთათვის

მოსკოვი, 26 მაისი (საკდესი). დიასახლისებთან ორი წელია, რაც მოსკოვის „კრასნაია პრესნაის“ რაიონში დიასახლისთათვის მუშაობს ლექტორიუმი; იგი მოწყობილია საკ. კ. პ. (ბ) რაიკომისა და უმაღლესი სკოლისა და სამეცნიერო დაწესებულებათა მუშაკების პროფკავშირის საოლქო კომიტეტის მიერ. ლექტორიუმი დიასახლისებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. მუშების, ინჟინრების, ტექნიკოსებისა და მოსამსახურეთა 200-მდე ცოლი ისმენს ლექციებს საერთაშორისო მდგომარეობაზე, მიმდინარე პოლიტიკაზე, სსრ კავშირის ხალხთა ისტორიასა და რუსულ კლასიკურ ლიტერატურაზე. წარსული წლის დამლევიდან პროგრამაში შეტანილია ლექციები პარტიის ისტორიაზე. დიასახლისები ეცნობიან საბჭოთა პოეზიისა და პროზის საუკეთესო ნაწარმოებებთან, ისმენენ ლექციებს მუსიკაზე, მფდიცინასა და სხვა თემებზე.

ლექციებს კითხულობენ დედაქალაქის უმაღლეს სასწავლებელთა ცნობილი პროფესორები, მეცნიერ-მუშაკები, მწერლები და პოეტები.

ლექტორიუმი არა მარტო ეხმარება დიასახლისებს პოლიტიკური და კულტურული დონის ამაღლებაში. არამედ უწერგავს მათ სეროზული სწავლის წყურვილს, ხელს უწყობს მათი აქტივობის ამაღლებას. მრავალი მსმენელი დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ეწევა. ათობით დიასახლისი მონაწილეობას იღებს მშრომელთა დეპუტატების სარაიონო საბჭოს აღმასკომის კომისიათა მუშაობაში.

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის სტალინის რაიკომმა თამბაქოს ფაბრიკაში მოაწყო სისტემატური კონსულტაცია იმ ამხანაგებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად სწავლობენ საკ. კ. პ. (ბ) ისტორიას. სურათზე (მარჯვნიდან): პროპაგანდისტი ამხ. **ბ. ტუღუში** კონსულტაციას უწევს ამხ. **ნ. ცერელაშვილს, ე. მესხს, პ. პავლოვს, ლ. აირაპეტოვს.**

ფოტო **ბუდუშტაისა** (საქდესის ფოტოქრონიკა)

„სამშობლო“

ახალი ქართული ოპერა

წელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ორდენოსანი კომპოზიტორი ნონა ტუსკია ამთავრებს ახალ ქართულ ოპერა „სამშობლოს“. ოპერა სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილთა სიმამაცესა და თავდადებას უმღერის. მისი ლიბრეტო ეკუთვნის სსრკ სახალხო არტისტს აკაკი ვასაძეს, რომელსაც ლიბრეტოში მოხერხებულად გამოუყენებია კლასიკოსების — აკაკის, ვაჟას და რაფიელ ერისთავის ცნობილი ლექსები, აგრეთვე ადგილები თანამედროვე პოეტების — გიორგი ლეონიძის, ალიო მაშაშვილის და სიმონ ჩიქოვანის ლექსებიდან.

მოქმედება იწყება კოლხიდის მდიდარ სანაპირო კოლმეურნეობაში. საზეიმო ფუსფუსია. სტუმრად მოდის კოლმეურნეობის შეფი — წითელარმიელთა მოსაზღვრე ნაწილი. იმართება ლხინი. ბოლოს მოდიან ხელისუფლების წარმომადგენელნი და საჩუქრებს გადასცემენ კოლექტივს, გარდამავალ დროშას ჩააბარებენ მოხუც კოლმეურნეს, სოფლის მოჭირნახულე გელას.

სტუმართა შორის არის გმირი წითელარმიელი თამაზი. გელას ასულს ციცინათელას და თამაზს უყვართ ერთმანეთი. ეს სიყვარული ასე ჩაისახა:

ერთხელ ციცინათელა მარტო ტყეში სამყურას დაეძებდა. უეცრად მოვარდა ნიაღვარი. ციცინათელა ვერვა ლევანს, მაგრამ როცა გაიგებს მის შავ ზარახვებს, ხელს ჰკრავს მას:

შენი გაჩენა ამ თოფით ვამცნე ამ არემარეს

ამბით მოგკლავ ცოფიან ძაღლსო, —

მიაძახებს ის სამშობლოს გამყიდველს. მაგრამ მოხუც გელაში მაინც მშობლის გრძნობა დასძლევს და იგი გადამალავს ლევანს. ამ დროს მთელი სოფელი ფეხზე დადგა. ეძებენ მტერს. კვალმა ხალხი გელას სახლთან მიიყვანა. გელა შვილს არ გასცემს.

თამაზის და ციცინათელას ქორწილია. ყველა ზეიმობს, მხიარულობს, მხოლოდ გელაა დაღვრემილი. მას სინდისი ჰქეხნის, რომ ქვეყნის ორგული დაფარა. ბოლოს ეელარ მოითმენს და აქვითინდება:

მტრის ატანა არ შემიძლიან,
ჩამჭოლეთ ხალხო, გავტეხე ფიცი,
დაგგმე შვილი და ჩემი ქვეყანა...
ორი კვირა ვმალავდი იმას,
ვინც ალმართა ბინძური ხელი
და ჩემი თამაზის სისხლი დაღვარა...

გელა გასცემს ლევანს. საზღვრის დამრღვევს შეიპყრობენ. მოხუცს გულზე მოეშვება. ხალხი ზეიმობს გელას დაბრუნებას, მის მეორედ დაბადებას:

მაშ ვადღეგრძელოთ, შვილებო,
ხალხი იმიერ-ამიერ,
დიდს ბელადს, ჩვენს მზეს ვუსურვოთ
სიცოცხლე მრავალჟამიერ.

ლიბრეტო გამართულად არის დაწერილი. მოქმედება დინამიურად ვითარდება. მთავარი მისი ღირსება კი ის არის, რომ ლიბრეტოში ჩვენი დღევანდელი ცხოვრებაა ასახული და ჩვენი გმირი წითელარმიელებია გამოყვანილი.

25 მაისს საქ. რადიოკომიტეტმა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახ. ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსან სახელმწიფო თეატრთან ერთად მოაწყო ოპერა „სამშობლოს“ ნაწყვეტების გადაცემა. კონცერტში, რომელიც 1 საათსა და 20 წუთს გაგრძელდა, მონაწილეობას იღებდნენ რადიოკომიტეტის ორკესტრი და გუნდი და საოპერო თეატრის სოლისტები ე. გოსტენინა, რესპ. დამს. არტ. დ. ანდღულაძე, დ. გამრეკელი, გ. გოგიჩაძე და შ. ცირღილაძე.

შესრულებული იყო: ციცინათელას არია I აქტიდან — „ერთი წელი მწარედ მწველი“ (სიტყვები აკაკი წერეთლისა), ორკესტრთან ერთად შეასრულა ე. გოსტენინამ; ციცინათელას და თამაზის დუეტი იმავე აქტიდან „თვალ-ცრემლია, კბილებ-ბროლა“ (სიტყვები აკაკი წერეთლისა), შეასრულეს ორკესტრთან ერთად ე. გოსტენინამ და დ. გამრეკელმა; გელას არია იმავე აქტიდან — „ჩემი ყვავილი ეგ არის“, გელას არია მესამე აქტიდან — „იზეიმე ჩემო სამშობლო“ (შეასრულა დ. ანდღულაძემ), თამაზის არია პირველი აქტიდან და „სიმღერა სამშობლოზე“ მეორე აქტიდან (შეასრულა დ. გამრეკელმა), ლევანის არია მეორე აქტიდან — „მე მჭონდა სამშობლო“ (შეასრულა გ. გოგიჩაძემ), ლეკური პირველი აქტიდან (შეასრულა ორკესტრმა გუნდთან ერთად) და „სიმღერა სტალინზე“ პირველი აქტის ფინალიდან (შეასრულეს ორკესტრმა, გუნდმა და სოლისტებმა — ე. გოსტენინამ, დ. ანდღულაძემ და შ. ცირღილაძემ).

დირიჟორობდა შ. აზმაიფარაშვილი.

ახალი ოპერის ნაწყვეტების მოსმენის შემდეგ მოეწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუსიკის მცოდნეებმა ვ. ჩხიკვაძემ და პ. ხუჭუამ, კომპოზიტორებმა შ. აზმაიფარაშვილმა და ი. გოკიელმა, დირიჟორმა მ. ბუხბინდერმა, „სამშობლოს“ ლიბრეტოს ავტორმა სსრკ სახალხო არტისტმა აკ. ვასაძემ, ხელ. დამს. მოღვაწემ რეჟისორმა შ. აღსაბაძემ, რეჟისორმა დამს. არტ. დ. ანდღულაძემ და საოპერო თეატრის დირექტორმა ნ. მაისურაძემ.

ყველამ ერთხმად აღნიშნა კომპოზიტორ ნ. ტუსკიას ახალი ნამუშევრის მაღალი მხატვრული ღირსება, „სამშობლოს“ მუსიკის ორიგინალობა და დიდი ემოციური ძალა. აღინიშნა, რომ ოპერა დაწერილია სავსებით მომწიფებული ოსტატის მიერ, რომელიც შესანიშნავად ჰფლობს ორკესტრს. ოპერის მთავარი ღირსება ის არის, რომ მასში ბევრია სიმღერა, მელოდია და ეს მელოდიურობა თან სდევს ყველა წაწყვეტს. მშვენიერია თავისი სილამაზით და ემოციურობით თამაზის არია, ლეკური, ციცინათელას, გელას და ლევანის არიები; გრანდიოზულია პირველი აქტის ფინალი. — „სიმღერა სტალინზე“.

გადაწყდა საოპერო თეატრი ამთავითვე შეუდგეს მოსამზადებელ მუშაობას ოპერის დადგმისათვის.

შ. ბუაჩიძე

პრესის მიმოხილვის მაგიერ

ერთი საწარმოს კედლის გაზეთი

ქუთაისის ვ. ბაქრაძის სახელობის ავტომობილების კომბინატში მრავალი კედლის გაზეთი გამოდის. მათ შორის ერთერთი საუკეთესოა „ფოთელ მჭოველს“ (რედაქტორი ამხ. დ. ჯახვაძე), რომელიც გამოდის კომბინატის ყველაზე დიდ საამქროში — საჭოვ საამქროში. საამქროს მუშები — სტახანოველები და მრავალდაზგონსები ღირსეულად ამაყობენ თავიანთი გაზეთით, რომელსაც გაზ. „ინდუსტრიულ ქუთაისის“ მიერ მოწყობილ კედლის გაზეთების საქალაქო შეჯიბრებაში მეორე ჯგილდო მოიპოვა.

„წითელი მჭოველი“ პირველი იყო ქუთაისის საწარმოთა იმ კედლის გაზეთებს შორის, რომლებიც დროულად გამოეხმაურნენ და მხურვალედ დაუჭირეს მხარი სამტრედიის რაიონული გაზეთისა და მუშათფსკორთა მოწოდებას — გაზეთებს შორის სოცშეჯიბრების მოწყობის შესახებ. „წითელი მჭოველი“ ახლა ეჯიბრება კომბინატის კედლის გაზეთს „კომბინატელთა ხმას“.

გაზ. „წითელი მჭოველი“ ბოლშევიკურად რაზმავს საამქროს მუშებს ძველაღი სტალინური ხუთწლედის ბრწყინვალედ დასაწყვეტად. ორგანიზული კავშირი აქვს მათთან, სწავლობს მათგან და ასწავლის მათ.

გაზეთს თვით საამქროს მუშები, სტახანოველები და მრავალდაზგონსები აქეთებენ. გაზეთის მუშაობაში აქტიურად მონაწილეობს 65 მუშკორი, მათგან 27 მრავალდაზგონსია. გაზეთის ეს აქტივი ეხმარება ადმინისტრაციას და პარტიულ ორგანიზაციებს საწარმოო დავალებათა გადაწყვეტაში. როგორც მთელმა კომბინატმა, ისე საქსოვმა საამქრომაც 1939 წლის პროგრამა,—პირველად უკანასკნელი წლების მახვილზე,—ვადაზე ადრე და გადაჭარბებით შეასრულა. ასევე გადაჭარბებით, 101,2 პროცენტით შეასრულა საამქრომ მიმდინარე წლის პირველი კვარტალის საწარმოო დავალება. რამდენიმე თვის წინათ საამქროს თითოროლა მრავალდაზგონსანი ჰყავდა. ამჟამად აქ 253 მრავალდაზგონსანია. საამქროს ამ გამარჯვებებში გაზეთ „წითელ მჭოველს“ მცირე ღვაწლი როდი მიუძღვის.

აპრილის ნომერი თითქმის მთლიანად საწარმოო საკითხებისადმია მიძღვნილი. მუშკორ ანნა ქვარიანის წერილში — „ლიკვიდაცია გუყოთ გარღვევებს“, გეზები ამხელს, რომ პირველ კვარტალში არა თუ შემცირდა, გაიზარდა კიდეც წუნდებული ქსოვილების გამოშვება. ასე, მაგალითად, იანვარში წუნდებული ქსოვილების რაოდენობა 3,5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო თებერვალში—4,2 პროცენტს.

„ყოველივე ეს,—სწერს გაზეთი,— იმიტომ ხდება, რომ ტექკონტროლთა და ინსტრუქტორთა ცუდ მუშაობასთან ერთად საამქროში დაბალ დონეზე დგას საწარმოო ინსტრუქტაჟი, ამასთან ჭსელი, რომელსაც მოსამზადებელი საამქრო იძლევა, მეტად მდარეხარისხოვანია“.

ამხელს რა გარღვევებს ქსოვილების ასორტიმენტის გამომუშავების გეგმის შესრულებაშიც, გაზეთი სიგნალს იძლევა, რომ საამქროში ხელგაშლილად იყენებენ ისეთ ძვირფას ნედლეულს, როგორიც გრეჟაა. გაზეთი საამქროს ადმინისტრაციის მისამართით მოურიდებლად სწერს, რომ მჭოველთა სამუშაო ადგილები ჯერ კიდევ მოუწყობელია, რაც, სხვა მიზეზებთან ერთად, ხელს უშლის მჭოველთა შრომის შეჭიდროებას.

დაუდევარ და უსულგულო მუშაობასთან ბრძოლის საკითხებზე სწერს აგრეთვე საამქროს „ბ“ ცვლის მეორე ბრიგადის სტახანოველი ინსტრუქტორი სალომე ძაგნიძე. გარღვევების ლიკვიდაციისა და საამქროში მუშაობის დეფექტების აღმოფხვრის საკითხებისადმია მიძღვნილი სტახანოველი მრავალდაზგონსის ამხ. გრანია ხაჩატურაულის წერილი. წერილი „აღრიცხვა დავაყენოთ სათანადო სიმაღლეზე“ სწორად ამახვილებს ყურადღებას საამქროში შრომის აღრიცხვის გადაჭრით გაუმჯობესების აუცილებლობაზე.

„წითელმა მჭოველმა“ საკმაოდ კარგად გააშუქა აგრეთვე საამქროს პარტბიუროს ამგვარიშგება-არჩევნები.

შინაარსისა და გაფორმების მხრივ კიდევ უფრო უკეთ გამოიყურება „წითელი მჭოველის“ მაისის ნომერი. საამქროს ყოფილი მუშა-სტახანოველი, საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ამჟამად კომბინატის დირექტორის მოადგილე ამხ. ო. რევიშვილი თავის წერილში „წინ, ახალი გამარჯვებისაკენ“ კონკრეტული ფაქტებით მოგვითხრობს, თუ საქსოვმა საამქრომ როგორ დაიწყო შესამე სტალინური ხუთწლედის შესამე წელი და რა შედეგებს მიაღწია უკანასკნელი ოთხი თვის განმავლობაში. გაზეთმა საამქროს კოლექტივს ფართოდ გააცნო შედეგები წინასწარის შეჯიბრებისა, რომელიც ახლაც გრძელდება მიმდინარე წლის საწარმოო პროგრამის ვადაზე ადრე შაღლახი რისხოვად შესრულებისათვის.

○

ამასწინათ კომბინატის პარტბიუროს (მდივანი ამხ. ნ. გაფრინდაშვილი) განიხილა გაზეთ „წითელი მჭოველის“ სარედაქციო კოლეგიის ანგარიში და სარედაქციო კოლეგიას მომავალი მუშაობის პრაქტიკული ღონისძიებანი დაუსახა. სამტრედიელთა მოწოდებისა და გაზეთ „წითელი მჭოველის“ მუშაკთა ინიციატივის საფუძველზე კომბინატის კედლის გაზეთებს შორის გამოცხადებულ იქნა სოციალისტური შეჯიბრება. პარტბიუროს შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესა გაზეთ „კომუნისტის“ 20 წლისთავის სახელობის გარდამავალი დროშა. პარტბიუროს ამ სხდომაზე, ხოლო შემდეგ კედლკორებშიაც დაიბადა აზრი, რომ „წითელი მჭოველი“ ერთთვიურიდან ყოველდღიურ გაზეთად გადაიქცეს. ამ აზრმა ხორცი შეისხა. 20 მაისს საქსოვ საამქროს მუშათმასმასახურეთა კრებაზე ჩატარდა ყოველდღიურ კედლის გაზეთ „წითელი მჭოველის“ სარედაქციო კოლეგიის არჩევნები. სარედაქციო კოლეგია თბილისის სახალხო-სამეურნეო სადგურის კედლის გაზეთ „მუშის ხმის“ მოცდილების მიხედვით შეუდგა მუშაობას.

ივნისის პირველ რიცხვებში გამოვა ყოველდღიურ კედლის გაზეთ „წითელი მჭოველის“ პირველი ნომერი. ამას მოუთმენლად მოელის ქუთაისის ვ. ბაქრაძის სახელობის ავტომობილების კომბინატის მუშაკთა კოლექტივი.

გ. ყურაშვილი

სვანეთის სახელობის სვიპენდიანტები

სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული უმაღლესი სკოლის საქმეთა კომიტეტმა დაამტკიცა სტალინის სახელობის სტიპენდიები მის გამგებლობაში არსებული 12 უმაღლესი სასწავლებლისათვის. 100 სტიპენდიას იღებს ლენინგრადის ინდუსტრიული ინსტიტუტი, 69 სტიპენდიას — კიევის, ტომსკის, გორკის, ნოვოჩერკასკის, საქართველოს, სომხეთის, შუა აზიის რესპუბლიკების და სხვ. ინსტიტუტები.

სტალინის სტიპენდიანტებს შორის ბევრია ახალგაზრდა ნიჭიერი მკვლევარი. გამომგონებელი. ხარკოვის საინჟინერო-ეკონომიური ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. ხრენოვი დიდ სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ეწევა. მან აქტიური დახმარება გაუწია ლითონის სამაგრის დანერგვას დონბასის შახტებში. თბილისის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. ბერიშვილი უკვე რამდენიმე წელია, რაც წარმატებით სწავლობს საქართველოს ძველი არქიტექტურის საუკეთესო ნიმუშებს.

ტომსკის კიროვის სახელობის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტუდენტი ამხ. გრეჩუხინი ეწევა სამეცნიერო-საკვლევო მუშაობას ფოლადის წარმოების ახალი მეთოდების დანერგვის დარგში. იგი არის ავტორი მარკელის სახმობი ახალი კონსტრუქციის აპარატისა. შუა აზიის ინდუსტრიული ინსტიტუტის სტიპენდიანტმა ამხ. პოვარენიხმა უკვე გამოიჩინა თავი, როგორც ნიჭიერმა გეოლოგმა მაძიებელმა. მან შუა აზიის ტერიტორიაზე გამოავლინა ბევრი წინათ უცნობი მინერალი, დასწერა საინტერესო გამოკვლევა აპშერონის ნახევარკუნძულისა და შუა ურალის ნავთის საბადოების შესახებ. (საკდესი).

ესპრაღის საზაფხულო სეზონი

29 მაისს თბილისში გაიხსნება საქართველოს სახელმწიფო ესტრადის საზაფხულო სეზონი. პირველი პროგრამა შესდგება მრავალფეროვანი ნომრებისაგან. საზაფხულო თეატრში გაიმართება ქართული ესტრადის საღამო, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ: ესტრადის მსახიობთა საკავშირო კონკურსის ლაურეატები ვ. გომბოშვილი, ნონა გუნია, ოლ. დოლაძე, ორდენოსნები ჯაფარიძე და საღარაძე, მოცეკვავე დარახველიძე, მეჩონგურეთა ანსამბლი ა. ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით და სხვ. საზამთრო თეატრში დანიშნულია ვოდევილებისა და კომედიის თეატრის პრემიერა: დ. კლდია

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲜᲘᲐ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲘ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲘ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ

ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲜᲘᲐ

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, 26 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝ (ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲘ). ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲒᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲔᲜᲘᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲐᲓ.